# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 570

დამატების № 102

კვირა, 8 მაისი 1916 წ.




იროდიონ ევდოშვილი
1873--1916 წ. წ.



იროდიონ ევდოშვილი.
(უკანასკნელი სურათი).



ირ. ევდოშვილი ციმბირში.



ირ. ევდოშვილი სოხუმში.



ირ. ევდოშვილი, შიო მღვიმელი და ია ეკალაძე.

## ეჰ, მეგობარო!

**ძვირფას იროდიონის ხსოვნას.**

ბორკილი, ციხე, კვნესა-შიმშილი,
და მარტოობა სამშობლოს გარეთ,
ეკლები შუბლზე, ეკლები გზაზე
და სიარული მასზე მდუმარეთ,
კვლავ სამშობლოში ლონე-მიხდილი
და მის კალთაზე სიკვდილი მწარეთ!..

ეჰ, მეგობარო, ეს იყო მხოლოდ
შენი სიცოცხლის თავი და ბოლო,
გოლგოთა იყო შენთვის ქვეყანა
და შენ კი—მწარე ტანჯვის სიმბოლო,
სხვისთვის ჰყვაოდა ვარდი—შენთვის კი,
იყო დამჭკნარი და უფოთოლო!..

და გატყდა ჯვარი ფაქიზ რწმენისა,
ჩამოსწყდა მკლავი მის დროშის ტარსა,
კვნესამ დაგიქრო ფიქრთა კანდელი
და მიგიწვია სამარის კარსა,
შენი ჩანგის ხმა, ვით გედის მოთქმა
განიბნა, გაჰყვა ცივ ნიავქარსა!..

და გარეშემო მხოლოდ ყორნები,
მხოლოდ ყორნები იყეფებიან,
სამშობლოს კვნესით მკვნესარე გულნი
ერთი მეორეს თან მიჰყვებიან,—
სამშობლოც სტირის, ვით წინად სტირდა
და მის ცრემლები არა შრებიან!

ეჰ, მეგობარო, ყოველ ნაბიჯზე,
საფლავს გვითხრიან ფიქრთა ლოგინათ,
საფლავად გვიქცა ყოველი კუთხე
და ჩვენს ოცნებებს შიგ დაეძინათ,
ბალი დავკარგეთ და სადღა დავრგოთ
ჩვენ ყვავილები მაისის წინათ?!..

ს. ფაშალიშვილი.



იროდიონ ევდოშვილი ავადმყოფობის დროს

ნახატი მოსე თოიძისა.

# „შეკითხვა და განმარტება“

**არც დრამა და არც კომედია.**

ორ მოქმედებიანი პიესა სეფვეთ-ნეზიჰისა.

**(თარგმანი ოსმალურიდან).**

(დასასრული *)

**ნიგარისთან-ხანუმ.** თქვენ რომ აჩრდილებს ლაპარაკობთ, ისინი წარმოიდგინეთ ეხლა სინამდვილეღ, ის აჩრდილები მკვდრეთით აღსდგნენ და აქა პარლამენტის სხდომაა... სსუ... აი მორიგი საქმეების გარჩევაც იწყება. თავმჯდომარე განმარტების მომთხოვნელ დეპუტატს ტრიბუნაზე ასასვლელად იწვევს: „სიტყვა თქვენია; შეკითხვა განმარტეთო“, ეუბნება. აი მეც ტრიბუნაზე ავდივარ. „ბატონო თავმჯდომარე, ჩემი შეკითხვა მეტად მარტივია. მინისტრებმა ლოცვის წესი უნდა შეასრულონ თუ პასუხი უნდა აგონ როგორც სახელმწიფოს რწმუნებულებმა?“ თუ პასუხისმგებელნი არიან, შეუძლიან სთქვან: რაც სამინისტროს სათავეში ჩავდექით მას აქეთ ერთს პატიოსანს საქმის მცოდნეს და მუყაითს მოხელეს ვერ შევხდით, ამისათვის საქმეები რიგიანად ვერ მოეწყო; იმედიც არა გვქონდა. მომავლისათვისაც ვერაფერს პირობას მოგცემთ, რადგან საქმის ჩვეულებრივი მდგომარეობა გრძელდება!..“ (მჭერმეტყველობისა და პატრიოტულს სახეს მიიღებს) პატივცემულო ბატონო თავმჯდომარე! გეკითხებით და თქვენც შეეკითხეთ: რაკი დღემდე ვერაფერი გაკეთდა და ამას შემდეგაც გაკეთებისათვის პირობას არ იძლევიან, ამ მინისტრებს სახელმწიფო ხაზინიდან ტყვილად არ მიულიათ ჯამაგირი? ეს შესაწყნარებელია?

**რუქნიდდინ-ბეგი.** აგრე ნუ ყვირი, სსუ! გევედრები.

**ნიგარისთან-ხანუმი.** ვთხოვ, გაჩუმდეთ. სიტყვა თქვენი არაა. (ისევ წინანდელ სახეს მიიღებს და ვითომ საერო კრებას, პარლამენტის წევრებს მიმართავს) ხალხის მამულის რჩეულო იმედო, დიდებულო, საერო კრებავ. დიდებული მეფეთა-მეფე სახელოვანი სულეიმან კონონიდან დაწყებული ოთხას ორმოცდა-ათ წელს სისხლის დღეების, გაყრის წუთების, მწარე საათების მთელი მხედველობა და გონების თვალი ეხლა თქვენკენაა მოქცეული. ორმოცი მილიონი ოსმალოს იმედების თვალი თქვენსკენ, მხოლოდ თქვენსკენაა მომართული. ეხლა სამართლიანობის სასწორსა და სინიდისს მიმართეთ და ეს სიტყვები ასწონ დასწონეთ. ერთი მინისტრი უსირცხვილოდ და მოურიდებლად აღიარებს: „დღევანდლამდე ვერაფერი გავაკეთე, ამის შემდეგაც ვერაფერს გავაკეთებო. მიტომ, რომ ჩემ ხელის ქვეით ერთი საქმის მცოდნე, მუყაითი, პატიოსანი მოხელე არაა. თანამდებობის ადგილები სახრავად არის. ჯამაგირები სულ უნაყოფოდ იფლანგება; ეს საქმე ასე მიმდინარეობს და ასეც იქნებაო.

**რუქნიდდინ-ბეგი.** სსუ, მონა მორჩილი ვიყო შენი, ოღონდ გაჩუმდი. ვინმე გაიგონებს.

**ნიგირისთან-ხანუმ.** გაჩერდით, სიტყვა თქვენი არაა. (თანდა-თან სიტყვის მღელვარებას მოიმატებს) დიახ, დიახ, ეს საქმე მომდინარეობს და ასეც იქნება. არა? დავუკვირდეთ, გავარჩიოთ. უმანკო და წამებულთა სულების ნაღველი და შურისძიება ჩვენზედაა, ცხელ ქარივით გვწვავს და ისედაც დადაგულს ჩვენს გულ-მკერდს გვიდაღავს. „დღევანდელამდე ვერაფერი გავაკეთე და ამის შემდეგაც ვერაფრის გაკეთების პირობას მოგცემთო“. ასეა, არა? საერთო საკულტურო საქმეთა სამინისტრო თურმე მოხალეების გამოსაკვებად ყოფილა და ეს ასე დარჩეს და იყოსო! უბედურებისა და ტანჯვის ცეცხლში დამწვარ უმწეო ხალხს ვეუბნებით „ჩვენ არაფერი გავაკეთეთ და ვერც გავაკეთებთ, მაგრამ შემოსავალი კი უნდა შევჭამოთ, მონაგები უნდა დავირიგოთ. მიტომ რომ ჩვენ შორის ერთი საქმის მცოდნეა მუყაითი, პატიოსანი მოხელე არაა. ცხელი, ქარია. მავნებელია როგორც კონსტიტუციის წევრები მოითხოვენ...

**რუქნიდდინ-ბეგი.** შენი წინასწარმეტყველი თუ გიყვარს, მზე...

**ნიგარისთან-ხანუმი** შენი უფალი თუ გიყვარს. მოისმინე. (ძალას მოიკრებს და სერიოზულ სახეს მიიღებს). მერე სიტყვა შენი არაა. ნუ სწუხართ, თქვენი რიგიც მოვა. (მდივანზე ავა. ქანდაკების მიმართ იწყებს). მე... მე რომ პასუხისმგებელი მინისტრი ვარ, ოთხ თვეს ვერაფერი გავაკეთე და გაკეთებისათვისაც პირობას ვერ გაძლევთ მეთქი გეუბნებით, მაგრამ ადგილზე კიდევ უნდა დავრჩე, ჯამაგირს მივიღებ, თქმასა არა მცხვენიან, იმ მონაგებიდან რომლის ყოველს ფარაში ერთი უმანკო წამებულის ცრემლია ჩაწვეთებული...

**რუქნიდდინ-ბეგი**—კმარა, კმარ... ნუ დამარცხე.

**ნიგარისთან-ხანუმი.** უუფ! ბატონო, სიტყვა, თქვენი არაა; თქვენს რიგს მოუცადეთ (მჭერმეტყველობის სახეს მიიღებს), ჰეი, მომავალი ერის ცხოვრების სულის ჩამდგმელნო, ოსმალების გაბედულო და გულწრფელო ვექილებო... აია-სოფიის მეჩეთის გუმბათიდან ბიზანტიის ორი ათასი წლის ბინძურება, უწმინდობა, სიმახინჯე, უტიფრობა, სიავე, უსამართლობა და უკანონობა... წარმოდგენილი აჩრდილებივით ჩვენ შეგვყურებენ და დაგვცინიან. ჩვენ ერთი აღმასრულებელი ორგანო ვართ. დიდებული ომარის მდივანზე, სულეიმან კონონის განყენებულ ტახტზედა ვზივართ. აწ კი ხმა ამოვიღოთ, შევუ-

*) იხ. სურათებიანი დამატება № 101.

ტიოთ „რაკი იმ ადგილის კაცი არა ხართ, გაშორდითო“ (მდივანიდან ჩამოვა). ბატონო მინისტრებო! სიტყვა თქვენია. (რუქნიდდინ-ბეგი სავარძელში ლონე-მილეული, დაქანცული, გაოცებული და გულწასულივით არის), აბა ჰა, პატივცემული კრება თქვენ გისმენთ. სჩანს, სათქმელი არ გქონიათ. (რუქნიდდინ-ბეგს უცქერს, დამამცირებელისა და შეურაცხმყოფელის თვალით). თუ ასეა, ეხლა სწორედ ლოცვის დრო მოვიდა (ხელით წარმოდგენილ აჩრდილებს მიჰმართავს): ჰეი, პატივცემულო საზოგადოებავ, ინებეთ ავუგოთ მიცვალებულს წესი. (რუქნიდდინ-ბეგ პირის სახეს ხელებში ჩაიმალავს. ნიგარისთან-ხანუმი დიდის თავმოწონებით გაივლ-გამოივლის) ოჰ! თქვენს მაგიერად კაცი მე უნდა ვყოფილიყავი! (მუშტს აჩვენებს) მაშინ ამ რკინის მუშტს დაინახავდი, დეპუტატების გამოცხადებაზე—აწ კი შეუტიოთო, უმალ მე შეუტევდი. მაგრამ თქვენი ასეთი ძლიერი ნება სადაა, ენერგია და მუდმივი შრომა სადაა; სამშობლოსადმი სიყვარული სადაა, სულის სიმხნევე, გულის სიმტკიცე სადაა?..

**რუქნიდდინ-ბეგი**—კმარა, აწ კი ღვთის გულისათვის კმარა!..

**ნიგარისთან-ხანუმი.**—დიახ, კმარა, აწ კი ღვთის გულისათვის კმარა!.. (ირონიულად გაიცინებს და თავის მეუღლის წინ მივა) ეხლა ხომ გაიგეთ, რომ მოლოცვისათვის მოვსულვარ! (ნურიდდინ-ბეგი ხელში გაზეთით გიჟივით აღელვებული შემოვა)

### მეხუთე გამოსვლა.

ნურიდდინ-ბეგი და წინანდელები.

**ნურიდდინ-ბეგი**—(რუქნიდდინ-ბეგისკენ გაექანება) ეს რაა? მამაჩემო, ეს რაა?

**რუქნიდდინ-ბეგი**—რა არის? რა მომხდარა?..

**ნურიდდინ-ბეგი**—მეტი რა უნდა იყოს? მუხლამდე ჰუჰყი, გათახსირება...

**ნიგარისთან-ხანუმი.** (მეუღლეს მიმართავს) მგონია, თქვენ მნიშვნელოვან საკითხებზე, პოლიტიკაზე გექნებათ ბაასი. ჭკუა მაგისთანა საკითხებს ვერ მისწვდება; თქვენ მარტოდ დაგტოვოთ?..

**ნურიდდინ-ბეგი**—არა, არა დედაჩემო, შენ იმ ქალებში არა ხარ. გთხოვ, დარჩე; ჩემი სათქმელი სიტყვები შენც მოისმინე.

**ნიგარისთან-ხანუმი**—ბატონო მამა, თქვენი სიტყვები ბევრი მოვისმინე. საკმარისია; ცოტაც შენც მოისმინე. (ნიგარისთან-ხანუმი დაცინვით გადახედავს და გვერდის კარიდან გავა).

### მეექვსე გამოსვლა.

რუქნიდდინ-ბეგი და ნურიდდინ-ბეგი.

**რუქნიდდინ-ბეგი** (ცოტა დამშვიდებულია) რა გნებავს, ნურიდდინ? გათახსირებაო, ლაპარაკობდი: რა არის?

**ნურიდდინ-ბეგი** (უზომოდ დანაღვლებული და შეწუხებული) საბრალო მამაჩემო! აი შენი მდეომარეობა.

**რუქნიდდინ-ბეგი.** (ზე წამოვარდება გულმოსული) რა იყო? სთქვი, სთქვი. განმარტე; მეც შეკითხვას გაძლევ.

**ნურიდდი ბეგი.** მეტი რა უნდა იყოს! პარლამენტში სათქმელი ოთხი სიტყვა ზეპ რად ვერ დაგიხსოვრებია, წაგიკითხავს. მერე რა, რა?... ორი წინადადება ამის საპასუხოდ საკმარისი იყო. მხოლოდ ორი წინადადება...

**რუქნიდდინ-ბეგი.** რა ორი წინადადება?

**ნურიდდინ-ბეგი.** (მამის წინ დადგება, გაზეთს მისკენ გაიქნევს) საბრალო მამაჩემო, ასეთი მცირე რამაც ვერ გამონახე? (ისიც მჭერმეტყველურ სახეს მიიღებს). „ბატონებო! ჰეი პატივცემულო ხალხის წარმომადგენელნო! სამინისტროს წეს-წყობილებათა მანქანის ჩარხები ოთხას ორმოცდა ათი წელიწადია გაფუჭდა, ასი წელიწადია ჩარხების კბილებიც თითო-თითო ამოვარდა. ეხლა ნელ-ნელა იმათ შეკეთებას შევუდექით. მაგრამ იძულებული ვართ აუჩქარებლად, თანდათან შევაკეთოთ. განახლებას და აღდგენას რომ ერთბაშად შევუდგეთ, საძირკველი შერყეულია, შეიძლება სახლი ჩამოინგრეს. რეფორმისა და ოპერაციის კარგ მცოდნეს, უნარიან ადამიანებს ვეძებთ, ვცდილობთ. იმედი გვაქვს და დაგარწმუნებთ რომ...

**რუქნიდდინ-ბეგი.** (სიამოვნებით აღტაცებული ზეწამოდგება) ოჰ! შენი პირის ჭირიმე ნურიდდინ! იცოცხლე, შვილო. ნეტა ვექილად გამეგზავნე პარლამენტის წინაშე...

**ნურიდდინ-ბეგი.** ეს, შესაძლებელი იყო განა?... თქვენი განმარტების შემდეგ ზედ სიძეების, ღვიძლი შვილების ბაასი უნდა გაჩაღებულიყო.

**რუქნიდდინ-ბეგი.** გაზეთები წაგიკითხავს. მართალი მითხარი, რა აზრი დაასკვენი?

**ნურიდდინ-ბეგი.** თქვენი განმარტება მეტად სასაცილო, შეუსაბამოა. საკონსტიტუციო წესების წინააღმდეგია. თავიდან ბოლომდე ს შეცდომაა, თქვენი განსაკუთრებული პატივისცემა რომ არ მქონდეს, ვიტყოდი: მასხრობაა... მაგრამ იმდენს ჩემი ენა ვერ ბედავს.

**რუქნიდდინ-ბეგი.** ოჰ, ამას კი შენგან არ მოველოდი! ამ ზომამდე, რომ იყოს, არა მგონია.

**ნურიდდინ-ბეგი.** უფრო მეტიცაა, დაგარწმუნებ, მამაჩემო. თუ პარიზში, საფრანგეთის პარლამენტის წინაშე ვინმე მინისტრმა რომ ამისთანა სიტყვები წარმოსთქვას, თავზე მოხარშულ კართოფილს, დამპალ ლიმონის ქერქებს გადააყრიდნენ.

**რუქნიდდინ-ბეგი.** მეტად აზვიადებთ, ნურიდდინ! ნუ დამანანიებ, რომ სწავლისთვის პარიზს გაგაგზავნე.

**ნურიდდინ-ბეგი.** რომ არ გაგეგზავნეთ, სწორედ მაშინ ინანებდით.

**რუქნიდდინ ბეგი.** კარგი! სთქვი, ვნახოთ!

**ნურიდდინ-ბეგი.** რომელ ერთს მოგიყვე! ჯერ ერთი, რაც შენს ხელქვეითი მოხელეებია, ყველას ლანძღავ. „მათ შორის საქმის მცოდნე, მუყაითი, პატიოსანი ერთი ვერ ვნახეო, ამბობთ. მერე: თუ თქვენმა ხელქვეითებმა საქმის არა იციან-რა, უნდა ასწავლოთ, გააცნოთ. თუ გაჯიუტდებიან, უნდა შეუტიოთ, განდევნოთ, მათ ადგილას საქმის მცოდნე უნდა დააყენოთ. აი ესაა თქვენი ნამდვილი მოვალეობა. ჩემი ხელქვეითი მოხელეები საქმის მცოდნე და პატიოსანი არ იყვნენო, ამის თქმით პასუხისმგებლობას თავიდან ვერ აიცდენთ. თუ იტყვით: „ბევრს ვეცადე, მაგრამ ვერ მოვახერხეო“, გეტყვიან: „რაკი ამ საქმეებს ვერ ახერხებდით, თქვენი თანამდებობა სხვა მცოდნე პირებისათვის უნდა გადაგეცათო“.

**რუქნიდდინ-ბეგი.** თუმცაღა ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ...

**ნურიდდინ-ბეგი.** სადაური, მაგრამ: ასეა. თქვენმა ხელქვეითმა მოხელეებმა გაზეთებს რომ მიმართონ და დასწერონ: ბატონი მინისტრი ბრძანებს, სამინისტროს სამართველოში საქმის მცოდნე და პატიოსანი ერთი კაცი ვერ ვნახეო; მაგრამ თვითონ არაა ამ საქმის კაცი; თავისი მოვალეობა ვერ შეუგნია. ამიტომ არც შეუძლია მოვალეობის მცოდნე მოხელეები გაარჩიოს?

**რუქნიდდინ-ბეგი.** თუ ასეთს რასმე მოიქმედებენ.,. თუმცა ცუდია...

**ნურიდდინ-ბეგი.** მართალი გითხრა, მე რომ ვყოფილიყავი, ვიზამდი.

**რუქნიდდინ-ბეგი.** მათ შორის პარიზში საპოლიტიკო სასწავლებელში სწავლა დამთავრებული არავინ მოიპოვება.

**ნურიდდინ-ბეგი.** არა უშავს რა! ამისთვის დიდი სწავლა არაა საჭირო... ეხლა კიდევ მომავლის უიმედობა!..

**რუქნიდდინ-ბეგი.** ეგ კიდევ რაღაა!

**ნურიდდინ-ბეგი.** ამბობთ, რომ მომავლისათვისაც პირობას ვერ მოგცემთო. ეს როგორ იქნება! ეს სიტყვა უნდა სთქვას კონსტიტუციონალური მთავრობის მინისტრმა? საფრანგეთის პარლამენტში რომ მომხდარიყო, გაკიცხავდნენ...

**რუქნიდდინ-ბეგი.** ენის შეცდომა იქ არ მოხდება!

**ნურიდდინ-ბეგი.** თქვენი აზრი წაგიკითხავთ. სჩანს წინდაწინ მოგიმზადებიათ. რატომ მე არა მკითხეთ? კონსტიტუციონალური მართველობა თათბირზედ არის დამყარებული. თათბირი ასე უნდა?

**რუქნიდდინ-ბეგი.** შენს ამდენს ჭკუას მერე წარმოვიდგენდი!? მე შენ ჯერაც ბავშვი მგონიხარ.

**ნურიდდინ-ბეგი.** თქვენ რომ ბავშვი გგონიათ, ახალგაზრდებში იგულისხმეთ. იქ უფრო თავიანები არიან... მერე ის ლოცვის ამბავი... დაგარწმუნებთ, რომ ასე ბავშვებიც კი არ მოიქცეოდნენ... (მოსამსახურე ბიჭი საჩქაროდ შემოვა)

### მეშვიდე გამოსვლა.

წინანდელები და მოსამსახურე

**მოსამსახურე.** ბატონო ვეჰბი-ფაშა მობრძანდება.

**რუქნიდდინ-ბეგი.** შემობრძანდნენ. (მოსამსახურე გავა. ნურიდდინ-ბეგი ნელ-ნელა მის გვერდით რომ კარია იქითკენ გაიწევა).

### მერვე გამოსვლა.

ვეჰბი-ფაშა, რუქნიდდინ-ბეგი და ნურიდდინ-ბეგი.

**ვეჰბი-ფაშა.** თქვენთან საგანგებოდ მოსალოცველად მოვედი. ის რა გამარჯვება იყო, რა!

**რუქნიდდინ-ბეგი.** ოჰ ბატონო. ღმერთო შენ შეგცოდე! ჭეშმარიტად! მოლოცვის ღირსი თქვენ ბრძანდებით. რა მჭერმეტყველება იყო, რა მართალი ლაპარაკი იყო!..

**ვეჰბი-ფაშა.** ამ შემთხვევაში მოლოცვა ორივე მხრით იყოს... დიაღ, დიაღ... ორივე მხრით იყოს! დიაღ, დიაღ!.. (ფარდა ნელ-ნელა ჩამოეშვება. ნურიდდინ-ბეგი დიდის გაოცებით უცქერის ამ სურათს).

ფ ა რ დ ა.

მემედ აბაშიძე.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.